აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების კომისიის სხდომის

ოქმი №11

ქ.ბათუმი 24.10.2014 წ.

სხდომას უძღვებოდა პრიორიტეტების კომისიის თავმჯდომარე - რამაზ ბოლქვაძე (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მოადგილე).

სხდომას ესწრებოდნენ :

კომისიის წევრები:

ლევან გორგილაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე;

იოსებ აბულაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეიბის მინისტრის მოადგილე

გიორგი რომანაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის უფროსი;

ვახტანგ წულაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსი;

კომისიის მდივანი - ცირა აბულაძე.

მოწვეული სტუმარი:

რაულ აბულაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ნათია აფხაზავა - „სი-ეს-აი“ ბათუმის ფილიალის დირექტორი;

ლევან გობაძე - ა(ა)იპ ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“-ს გამგეობის თავმჯდომარე;

დღის წესრიგი:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს 2014 წლის ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების მიმოხილვა. მომხსენებელი - ვახტანგ წულაძე.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის 2014 წლის ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების მიმოხილვა. მომხსენებელი - რაულ აბულაძე.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის 2014 წლის ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების მიმოხილვა. მომხსენებელი - გიორგი რომანაძე.

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2014 წლის ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების მიმოხილვა. მომხსენებელი - რამაზ ბოლქვაძე.

5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2014 წლის ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების მიმოხილვა. მომხსენებელი - ლევან გორგილაძე

6. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2014 წლის ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების მიმოხილვა. მომხსენელი იოსებ აბულაძე.

მოისმინეს:

სხდომის საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებმა და დაინტერესებულმა მხარეებმა მოისმინეს:

1. კომისიის წევრის - ვახტანგ წულაძის მოხსენება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს 2014 წლის ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების მიმოხილვის შესახებ.

2. მოწვეული სტუმრის - რაულ აბულაძის მოხსენება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის 2014 წლის ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების მიმოხილვის შესახებ.

3. კომისიის წევრის - გიორგი რომანაძის მოხსენება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის 2014 წლის ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების მიმოხილვის შესახებ.

4. კომისიის თავმჯდომარის - რამაზ ბოლქვაძის მოხსენება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2014 წლის ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების მიმოხილვის შესახებ.

5. კომისიის წევრის - ლევან გორგილაძის მოხსენება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2014 წლის ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების მიმოხილვის შესახებ.

6. კომისიის წევრის - იოსებ აბულაძის მოხსენება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2014 წლის ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების მიმოხილვის შესახებ.

(იხილეთ დანართი #1)

აზრი გამოთქვეს და დასვეს შეკითხვები:

რამაზ ბოლქვაძემ დასვა შეკითხვა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს გარემოსდაცვითი პროგრამის „აჭარის სანაპირო ზოლის დროებითი ნაპირსამაგრი ღონისძიების 9 თვის გეგმით გათვალისწინებული თანხა რატომ ვერ იქნა ათვისებული? აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამის ,,სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა" ქვეპროგრამა სოფლად პირველადი ჯანდაცვის განვითარებაზე ხელშეწყობა 9 თვის გეგმით გათვალისწინებული თანხის ათვისება არ მოხდა სრულად და რა არის ამის მიზეზი? აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის პროგრამის ,,რეგიონში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და საერთაშორისო ბაზარზე პოპულარიზაცია" ქვეპროგრამა ,,რეგიონში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა" წლიურ გეგმასთან შედარებით თანხის ათვისების პროცენტული მაჩვენებელი დაბალია და რა არის ამის მიზეზი?

გარდა ამისა დაინტერესებულმა პირებმა გამოთქვეს მოსაზრება:

კარგი იქნება 9 თვის ანგარიშში და საერთოდ სამომავლოდ ანგარიშები შედეგებზე იყოს ორიენტირებული, რაც უფრო ნათელ სურათს მოგცემს შესრულების მხრივ და უკეთესი იქნება შედეგებიც გაწერილი იყოს კვარტლების მიხედვით.

გამოთქმულზე გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრმა ვახტანგ წულაძემ განმარტა რომ „აჭარის სანაპირო ზოლის დროებითი ნაპირსამაგრი ღონისძიების ფარგლებში გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერები, გაფორმდა ხელშეკრულები და წლის ბოლომდე მოხდება თანხის სრული ათვისება.

კომისიის წევრმა ლევან გორგილაძემ განმარტა რომ ქვეპროგრამა ,,სოფლად პირველადი ჯანდაცვის განვითარებაზე ხელშეწყობა" ხორციელდება გაეროს მომსახურების ფონდის

თანადაფინანსებით. აღებული ვალდებულებების მიხედვით ნაწილი ავტომანქანების მოწოდება უნდა განხორციელდეს წლის ბოლომდე და შესაბამისად თანხების ათვისებაც მოხდება სრულად.

მოწვეულმა სტუმარმა - რაულ აბულაძემ განმარტა, რომ ქვეპროგრამის „რეგიონში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა“ მეოთხე კვარტალში დაგეგმილია მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელება კერძოდ, სხვადასხვა სარეკლამო მასალების დამზადება, სასტუმროების და რესტორნების ფასდაკლებებისა და საახალწლო ღონისძიებების რეკლამირება, „საერთაშორისო გამოფენების, ფესტივალებისა და კონფერენციების ორგანიზება“, ბათუმში „ბათუმის ბულვარის“ ცენტრალურ შესასვლელთან, ახალი ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის მშენებლობა და აღჭურვა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმის სფეროში კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავება, „ტრენინგები (სასტუმროების, რესტორნების, გესთჰაუსების პერსონალისა და გიდებისთვის)“. აღნიშნულიდან გამომდინარე ქვეპროგრამის ასიგნებების ათვისება მოხდება სრულად.

კომისიის თავმჯდომარემ რამაზ ბოლქვაძემ განმარტა, რომ ქვეპროგრამის შედეგის ინდიკატორის გაზომვა ხდება დამტკიცებული ქვეპროგრამების მიხედვით, გამომდინარე აქედან წლიურ ანგარიშში ასახული იქნება შუალედური შედეგის ინდიკატორი (მდგომარეობა).

კომისიის წევრები:

ლევან გორგილაძე

იოსებ აბულაძე

გიორგი რომანაძე

ვახტანგ წულაძე

მოწვეული სტუმრები:

რაულ აბულაძე

ნათია აფხაზავა

ლევან გობაძე

კომისიის თავმჯდომარე **რამაზ ბოლქვაძე**

კომისიის მდივანი ცირა აბულაძე